



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1

ტელ: 27 00 01

N 887
03/11/2017

ბრძანება

887-09-4-201711031505



**ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ განახლებაში საჯარო სკოლის მშენებლობის
არიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმების შესახებ**

უნდა აღინიშნოს, რომ 09 ოქტომბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს MES 6 17 01224334 მომართვის საფუძველზე (მუნიციპალიტეტის გამგეობაში რეგისტრაციის №9407/09. 10. 10. 2017წ.) დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ განახლებაში საჯარო სკოლის მშენებლობის არიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმების თაობაზე.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტროს ან მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების მიერ სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოებისა და შეთანხმების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 25 მაისის №1-1/842 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სამინისტროს მიერ წარმოდგენილია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-X-ე თავის 47-ე და 51-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით დამუშავებული საპროექტო დოკუმენტაცია. ამასთან დადგენილების 51-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოდგენილია საექსპერტო შეფასება არქიტექტურული პროექტების „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან შესაბამისობის თაობაზე, რომელიც ერთმნიშვნელოვნად დადებითია და პასუხობს ზემოაღნიშნული დადგენილების 25-ე მუხლის მე-3-ე პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 და მე-9 თავის მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა

გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

ამდენად შესაძლოა შეთანხმდეს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ განახლებაში საჯარო სკოლის მშენებლობის არიტექტურულ-სამშენებლო პროექტი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლის და მე-X-ე თავით და ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გურამ დეკანაძის 2017 წლის 01 ნოემბრის N3971-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვბრძანებ:

- 1) შეთანხმდეს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ განახლებაში საჯარო სკოლის მშენებლობის არიტექტურულ-სამშენებლო პროექტი.
- 2) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს გურამ დეკანაძეს;
- 3) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს (ა. ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 4) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის N5)მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 5) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა ბოლქვაძე



გამგებელი - მ.შ.

ხელმძღვანელობა